ა(ა)იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება

საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის ავეჯის აქსესუარების შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

39200000 - ავეჯის აქსესუარები

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია ვებგვერდზე:

http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/Manuals/SPA_UM.pdf.aspx

2017 წელი

ქ. გორი

სარჩევი

ტექნიკური მოთხოვნები *3*
დამატებითი ინფორმაცია: *4*
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი *5*
დანართი #1 ..... *9*
დანართი #2 ..... *9*
დანართი #3 ..... *10*

1. ტექნიკური მოთხოვნები

1.1 პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

1.1.1 ფასების ცხრილი დანართი #1- ის მიხედვით;

1.1.2 საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი დანართი #2-ის მიხედვით;

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას 1.1 - 1.9 პუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

1.3 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ტრანსპორტირების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სხვა ხარჯებს.

1.4 **შესყიდვის ობიექტი (ტექნიკური დავალება)**

1.4.1 შესყიდვის ობიექტის პარამეტრები და რაოდენობა მოცემულია დანართი #3-ში.

1.5 მიწოდების ადგილი, ვადები და პირობები

1.5.1 ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ახალი საქონლის მიწოდება.

1.5.2 მიწოდების ადგილი - ქ. გორი, ზ.ჯუღაშვილის ქ., #4.

1.6 ანგარიშსწორების პირობები

1.6.1 ანგარიშსწორება მოხდება საქონლის სრულად მიწოდების და მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

1.6.2 ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო წესით, ეროვნულ ვალუტაში;

1.6.3 წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება;

1.7 პრეტენდენტის მიერ მნიშვნელოვნად დაბალი ფასის დაფიქსირება

1.7.1 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, სასაქონლო ზედნადებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით), რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

1.8 დამატებითი მოთხოვნები

1.8.1 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;.

1.8.2 პრეტენდენტის ვალდებულია წარმოადგინოს სრულყოფილად შევსებული ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული (არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის მიერ (საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე).

1.8.3 პრეტენდენტის მიერ, „წინადადების მიღება დასრულებულია“ ეტაპზე, სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #1-ის წარმოუდგენლობა ან არასრულად (ტექნიკურ მახასიათებლების, მწარმოებელ ქვეყნის, მწარმოებელი კომპანიის და მოდელის მიუთითებლობა) წარმოდგენა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.8.4 ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი.

2. დამატებითი ინფორმაცია

2.1.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის –,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ. გორი, ბ. ჯუღაშვილის ქ., #4.

საკონტაქტო პირი :

გაერთიანების დირექტორი - ნუგზარ ინჯია - 577-95-44-15;

გაერთიანების შესყიდვების სამსახური - გიორგი ნასყიდაშვილი- 577-95-45-11;

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. გორი 2017 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ "თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში "მიმწოდებელი"), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, NAT _____ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის ავეჯის აქსესუარების შესყიდვა (შემდგომში „საქონელი"), CPV კოდი: 39200000.

1.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

1.4. შესყიდვის ობიექტის მონაცემები (ტექნიკური აღწერილობა) მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს დანართი №1-ის შესაბამისად;

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მ.შ. ტრანსპორტირების ხარჯს.

3. სტანდარტები

3.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ.

4.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი მერაბ კარიჭაშვილი.

5. საქონლის ტექნიკური მიწოდების პირობები

5.1. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ახალი საქონლის მიწოდება.

5.2. მიწოდების ადგილი - ქ. გორი, ბ. ჯუღაშვილის ქ., #4.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების განხორციელების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. **ანგარიშსწორება**

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2. ანგარიშსწორება მოხდება საქონლის სრულად მიწოდების და მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. **ფასები**

8.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარეშე.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. **უფლებების გადაცემა**

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. **სუბკონტრაქტორები**

11.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. **ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

12.1. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. **ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

13.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

13.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი;

13.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

13.2. ხელშეკრულების ცაკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან;

13.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

13.3.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

13.3.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. **ფორს-მაჟორი**

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგანწერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. **სადაო საკითხების გადაწყვეტა**

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. **გამოყენებული სამართალი**

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ინსპექტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. **ხელშეკრულების ენა**

17.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებათან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. **შეტყობინება**

18.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. **გადასახადები და დაბეგვრა**

19.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

20. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

20.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის _____ ჩათვლით.

21. **სხვა პირობები**

21.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (ორი რჩება შემსყიდველისთვის, ხოლო ერთი მიმწოდებელისთვის), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

22. **მხარეთა რეკვიზიტები**

დანართი #1

#	დასახელება	მახასიათებლები	გ/ე	რაოდენობა	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
1								
მთლიანი ღირებულება ყველა გადასახადის ჩათვლით								

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

დანართი #2

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

დანართი #3

#	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	CPV - კოდი	გ/ე	რაოდენობა
1	ქაფქირი	არანაკლებ დიამ. 12 სმ, უჟანგავი ფოლადის.	39221100	ცალი	6
2	ჩამჩა	მოცულობა: არანაკლებ 200 გრ. უჟანგავი ფოლადის	39221000	ცალი	6
3	საჭრელი დაფა	პროდუქტის დასამუშავებელი დაფა, პოლიეთილენის, სისქე: არანაკლებ 1 სმ ზომა: არანაკლებ 40*30 სმ	39221000	ცალი	50
4	დანების კომპლექტი	ბოსტნეულის დასამუშავებელი, თევზის დასამუშავებელი, პურის დასაჭრელი, ხორცის დასამუშავებელი (კომპლექტში არანაკლებ 4 ტიპის დანა) უჟანგავი ფოლადის (მასალა განკუთვნილი საკვები პროდუქტებისათვის) დანის პირი უნდა იყოს დამზადებული ერთიანი ლითონისაგან, ხოლო სახელურის სამაგრი პოლიეთილენის ფერადი მასალისაგან. დანების სახელურები უნდა იყოს სხვადასხვა ფერის.	39241120	კომპ	10
5	სინი	უჯანგავი მეტალის, გაბარიტები - არანაკლებ 38×50,5	39221210	ცალი	20
6	სადილის კოვზი	უჟანგავი ლითონი, სიგრძე 18.5სმ - 19.5 სმ	39223100	ცალი	380
7	ჩაის კოვზი	უჟანგავი ლითონი, სიგრძე 13.0 სმ - 14.0 სმ	39223100	ცალი	380
8	შეფერილი მინის თეფში პატარა	წონა: 290-300 გრ. მოცულობა: 200-220გრ. დიამეტრი: 18-20სმ.	39221220	ცალი	380
9	შეფერილი მინის ღრმა თეფში	დიამეტრი: 18-20სმ; სიმაღლე: 7-8 სმ; წონა: 420- 440 გრ.	39221220	ცალი	350
10	ურნა პედლიანი	მოცულობა: 10-12 ლიტრი, პლასტმასის პედლიანი ურნა, ურნაში მოთავსებული უნდა იყოს მეორე ვედრო ნაგვის ამოსაღებად.	39224330	ცალი	5
11	შეფერილი მინის ჭიქა	წონა: 225-235 გრ. მოცულობა: 200-220 გრ. დიამეტრი: 6,5-7,5 სმ. სიმაღლე: 7-10სმ.	39221121	ცალი	380
12	შეფერილი მინის ლამბაქი	მინის ჭიქის შესაბამისი ამოღრმავებული ზედაპირით; დიამეტრი: 12,5-13,5 სმ; სისქე: არანაკლებ 2 მმ; წონა 150-160 გრ;	39221120	ცალი	380
13	ჩაიდანი	უჟანგავი ფოლადის 18/10, მოცულობა 6-7 ლიტრი, წონა არანაკლებ 820გრ	39221180	ცალი	5